




საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო



# ფოთის საკრებულოს 2023 წლის საქმიანობის შეჯასება

|  |    |
|--|----|
| შესავალი:  | 3  |
| თავი 1. ძირითადი მიგნებები   | 4  |
| თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ფოთის საკრებულოს შესახებ                   | 5  |
| თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები  | 6  |
| თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა                     | 7  |
| თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი             | 9  |
| თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები და ნეპოტიზმის შესაძლო შემთხვევები | 10 |
| თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში                | 11 |
| თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში                       | 12 |
| თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა                           | 13 |
| თავი 10. ქალაქ ფოთის საკრებულოს ხარჯები                                    | 14 |
| რეკომენდაციები   | 16 |

## შესავალი:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აფასებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდეგში - ფოთის საკრებულო) 2023 წელს გაწეულ საქმიანობას.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ, საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

კვლევის საანგარიშო პერიოდია 2023 წელი.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” ფოთის საკრებულოს საქმიანობა სამჯერ შეაფასა, რომლის საანგარიშო პერიოდები მოიცავდა 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ჩათვლით დროის [მონაკვეთს](#) , 2020 [წლისა](#) და 2022 წლის [საქმიანობას](#).


# თავი 1. ქირითაღი მიზნებაი

- ფოთის საკრებულო საანგარიშო პერიოდში მერიასა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ პირებზე სუსტ ზედამხედველობას ახორციელებდა. საკრებულო ფორმალურად აკონტროლებდა მის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებისა თუ ცალკეულ უწყებათა საქმიანობას;
- ფოთის საკრებულოს ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები არ გამოუვლენია;
- 2023 წელს სულ საკრებულოს 15 სხდომა გაიმართა, რომელთაგან მხოლოდ 3 იყო რიგგარეშე
- საანგარიშო პერიოდში ფოთის საკრებულომ **44** დადგენილება მიიღო: **38** დადგენილების ავტორი/ინიციატორი ფოთის მერი იყო, **6** დადგენილებისა კი - საკრებულოს ცალკეული კომისიები.
- ფოთის საკრებულოს **22** თანამდებობის პირიდან ხარვეზებით დეკლარაცია მხოლოდ **ერთმა** შეავსო;
- საკრებულოს ფრაქციებს - “ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოსა” და “ფოთი საქართველოსთვის” არცერთი ინიციატივა არ ჰქონიათ. მხოლოდ ერთი ინიციატივა ჰქონდა ფრაქცია “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას”;
- ფრაქციათა მიერ განუული საქმიანობის მინიმალური მაჩვენებლის ფონზე, შეუსაბამოდ დიდია მათ ფუნქციონირებაზე განუული ხარჯები, რომელმაც ჯამში **467,410 ლარი** შეადგინა, რაც **51,124** ლარით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე;
- ფოთის საკრებულოში მუშაობს გენდერული თანასწორობის საბჭო, თუმცა, წინა პერიოდის მსგავსად, საბჭოს არ განუხორციელებია როგორც სამართლებრივ აქტების ანალიზი, ასევე ექსპერტიზა საკანონმდებლო აქტების პროექტებზე. ფოთის საკრებულოში გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე არცერთი განცხადება, დოკუმენტაცია ან სხვა ინფორმაცია არ შესულა;
- გაიზარდა საკრებულოს სხდომების გაცდენის მაჩვენებელი, 2023 წელს საკრებულოს წევრებმა **81-ჯერ** გააცდინეს საკრებულოს სხდომები, რაც წინა წლის მაჩვენებელს 30 ერთეულით აჭარბებს. საკრებულოს წევრებმა სხდომები არასაპატიო მიზეზით **69-ჯერ** გააცდინეს;
- საკრებულოს თანამდებობის პირთა შორის ყველაზე მეტი - **9** სხდომა არასაპატიო მიზეზით გააცდინა ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ყოფილმა თავმჯდომარემ, დარეჯან ცხვიტარიამ და ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ, დათო ხომერიკმა;
- გაუარესდა საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის მაჩვენებელი. 2023 წელს ამ უფლებით **35** წევრიდან არ უსარგებლია **15** წევრს. მოხსენებით არ წარმსდგარა საკრებულოს **23** წევრი;
- ფოთის საკრებულომ 2023 წელს **1,792,572** ლარი დახარჯა, რაც **226,776** ლარით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. **1,502,572 ლარი** შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა;
- საკრებულომ 2023 წელს **79,786 ლარად** შეისყიდა **30.2 ტონა საწვავი**, რომლის საერთო ოდენობის **13.7%** (4,147 ლიტრი) ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ, ალექსანდრე ტყეპუჩავამ მოიხმარა;
- 2023 წელს განუული საქმიანობისთვის გაღებული ხარჯების ასანაზღაურებლად **116,478** ლარი მიიღეს იმ წევრებმა, რომლებიც არ იკავებენ თანამდებობას. სატელეფონო კომუნიკაცია ფოთის საკრებულოს **8,358** ლარი დაუჯდა. სამივლინებო ხარჯებმა **15,436** ლარი შეადგინა.

## თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქადაქ ფოთის საკრებულოს შესახებ

ფოთის საკრებულოში 35 წევრია, რომელთაგან 7-ს ირჩევენ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, ხოლო 28 წევრს – პროპორციული წესით.

### მანდატების გადანაწილება ფოთის საკრებულოში



საკრებულოს 35 წევრიდან 10 ქალია, რაც საერთო რაოდენობის 28%-ია. თუკი წინა მოწვევის საკრებულოში თანამდებობას მხოლოდ ერთი ქალი იკავებდა, დღეს თანამდებობის პირი 4 ქალია საკრებულოში: მაია დოღბაია - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი [მოადგილე](#); ნანა ვეკუა - სოციალურ საკითხთა კომისიის [თავმჯდომარე](#), ანა ჯოჯუა - ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” [თავმჯდომარე](#) და სალომე წულაია - ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარის [მოადგილე](#).

ფოთის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია **5 კომისია**:

1. იურიდიულ, სამანდატო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ნიკა კორშია)
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - თემური დუნდუა)
3. სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - ნანა ვეკუა)
4. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია (თავმჯდომარე - თირნიკე ხარჩილავა)
5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია (თავმჯდომარე - ბექა მორჩილაძე)

ჯამში ფოთის საკრებულოში 35 წევრიდან 2023 წლის მდგომარეობით თანამდებობას 22 წევრი იკავებს. დეტალური ინფორმაცია იხილეთ [ცხრილში](#).

### ზოგადი სტატისტიკა:

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საკრებულოს **15** სხდომა, მათ შორის მხოლოდ **სამი** იყო რიგგარეშე. კვორუმის არარსებობის გამო არ ჩაშლილა საკრებულოს არც ერთი სხდომა. ამავე პერიოდში გაიმართა ბიუროს **15** სხდომაც.

ამავე პერიოდში ფოთის საკრებულომ **44** დადგენილება მიიღო, რომელთაგან **38** დადგენილების ავტორი/ინიციატორი იყო ფოთის მერი, **6** დადგენილებისა კი - საკრებულოს ცალკეული კომისიები.

ზედამხედველობის ორგანომ ფოთის საკრებულოს სამართლებრივ აქტებზე ერთი დასკვნა მოამზადა, რომელიც საკრებულომ გაიზიარა.



## თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები

### **ცვლილებები ფოთის საკრებულოს შემადგენლობასა და ფრაქციებში:**

2023 წლის 20 ოქტომბერს ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება შეუწყდა ბაქარ ერაგიას. მის ნაცვლად აირჩიეს სალომე წულაია. ბაქარ ერაგია 2023 წლის ოქტომბრიდან ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლის დირექტორია.

2023 წლის 29 ნოემბერს ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარე, დარეჯან ცხვიტარია და მისი მოადგილე პაატა ჩაგანავა თანამდებობებიდან [გადააყენეს](#), თავმჯდომარედ ანა ჯოჯუა აირჩიეს, მის მოადგილედ კი - ირაკლი ლაბარტყავა.


### **სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა:**

2023 წელს ფოთის საკრებულომ სახელმწიფოს მხოლოდ ერთი ქონება გადასცა უსასყიდლოდ - ფოთში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შემდგომში მისი შპს “გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” კაპიტალში შესატანად.

# თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა

## საკრებულოს კომისიების საქმიანობა:

ფოთის საკრებულოს ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ 2023 წელს სულ **63** სხდომა გამართა. მათგან არცერთი სხდომა არ ჩაშლილა. ჯამში საკრებულოს კომისიებმა საკრებულოს წარუდგინეს სამართლებრივი აქტის **16** პროექტი, ასევე მოამზადეს **132** დასკვნა საკრებულოს მიერ განსახილველი პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე:




## საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:

საკრებულოში მუშაობს **3** ფრაქცია: ფრაქცია **“ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს”** თავმჯდომარეს, სანდრო ქუმაშვილს ჰყავს 6 მოადგილე, ფრაქცია **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის”** თავმჯდომარეს, ანა ჯოჯუას - 3, ფრაქცია **“ფოთი საქართველოსთვის”** თავმჯდომარეს, გიგლა თურქიას - ერთი.

ფრაქციებს **“ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოსა”** და **“ფოთს საქართველოსთვის”** ინიციატივა არ ჰქონიათ. ერთი ინიციატივა ჰქონდა ფრაქცია **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობას”** - **“ქალაქ ფოთში არსებული ფანტანების, მინი სპორტული მოედნების, ბავშვთა სათამაშო მოედნების და სკვერების მდგომარეობისა და მათი უსაფრთხოების დადგენასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ”**, რომელსაც ფოთის საკრებულომ მხარი არ დაუჭირა.

ფრაქციათა მიერ განუული მინიმალური საქმიანობის ფონზე, შეუსაბამოდ დიდია მათ ფუნქციონირებაზე განუული ხარჯები, რომელმაც ჯამში **467,410** ლარი შეადგინა:

## 2023 წელს ფრაქციათა საქმიანობაზე განხორციელებული ხარჯები



417,224

სახელმწიფო ანაზღაურება

41,290

საწვავის ღირებულება

7,132

სატელეფონო კომუნიკაცია

1,764

მივლინება



# თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვადღებული ორგანოების კონსტროლი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულო აკონტროლებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობას, ისმენს და აფასებს მათ ანგარიშებს,<sup>1</sup> მერი კი ანგარიშვადღებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.<sup>2</sup>

ფოთის საკრებულომ 2023 წელს მოისმინა და დადებითად შეაფასა ფოთის მერიის სამსახურების ანგარიში, ასევე მოისმინა ცალკეული იურიდიული პირების **11** ანგარიში. ამავე პერიოდში საკრებულომ 15-ჯერ მოიწვია აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები, საკრებულოს 20-მა წევრმა კი კითხვით მიმართა ფოთის მერსა და მერიის თანამდებობის პირებს. **ფოთის საკრებულომ მერის მიერ წარდგენილ ყველა საკითხს დაუჭირა მხარი.**

ფოთის საკრებულოს ასევე არ გამოუვლენია გადაცდომები მერის საქმიანობაში, ინტერესთა კონფლიქტი ან/და თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტები. ასევე, საკრებულოს ინფორმაციით, “საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობის/ინტერესთა კონფლიქტის შესახებ გადაცდომებს ადგილი არ ჰქონია”.

საპირისპიროს ამტკიცებს მედიით გავრცელებული [ინფორმაცია](#) ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის, ალექსანდრე ტყებუჩავას სიმამრის, ზურაბ მესხის სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობის [შესახებ](#). ამ ინფორმაციის თანახმად, ტყებუჩავას ჯერ “ქართული ოცნების” ფოთის ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივნად, ხოლო შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ზურაბ მესხმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან **1,568,800 ლარის შესყიდვები მიიღო.**

1 მუხლი 24-ე, პიურველ მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“  
2 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მეორე პუნქტი

# თავი 6. ანასრულად შევსებული დეკლარაციები და ნაკომიზების შესაძლო შემთხვევები

ფოთის საკრებულოში ქონებრივი დეკლარაციის შევსების ვალდებულება **22** თანამდებობის პირს აქვს. 2023 წელს დეკლარაცია ხარვეზებით მხოლოდ ერთმა თანამდებობის პირმა შეავსო.



## თორნიკე ხარჩილავა

ფოთის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე

თორნიკე ხარჩილავამ 2023 წლის აგვისტოში შევსებულ [დეკლარაციაში ჩაწერა](#), რომ იგი არის შპს “[ფოთიგალვანიზმეტალის](#)” 40% წილის მფლობელი, თუმცა არ შეასრულა კანონის მოთხოვნა და ეს წილი მართვის უფლებით სხვა პირს არ გადასცა.

ფოთის საკრებულოს თანამდებობის პირთა დეკლარაციებით დავადგინეთ, რომ სამ შემთხვევაში საკრებულოს თანამდებობის პირის ოჯახის წევრები მუნიციპალურ უწყებებში მუშაობენ, კერძოდ:

- ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მაია დოლბაიას მეუღლე [აბესალომ პერტაია](#), 2023 წლის სექტემბრიდან ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრის“ სპეციალისტია,
- ფოთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, [თემურ დუნდუას](#) მამა, თენგიზ დუნდუა ა(ა)იპ “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრში” განყოფილების უფროსია, მეუღლე, ბუტა ნაცვლიშვილი კი ა(ა)იპ “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის” მთავარი სპეციალისტია
- ფოთის საკრებულოს ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარის მოადგილის, [ნიკოლოზ იზორიას დეკლარაციით დგინდება, რომ მისი](#) მეუღლე, ნინო ჭოჭუა ააიპ “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრის” მთავარი სპეციალისტია.

საჯარო მოხელეთა დანიშვნის წესისგან განსხვავებით, მუნიციპალურ იურიდიულ პირებში დასაქმებისთვის არ ცხადდება კონკურსი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ა(ა)იპის თუ შპს-ს ხელმძღვანელს ერთპიროვნულად ნიშნავს, ასევე პრაქტიკულად ერთპიროვნულად იღებს საკადრო გადაწყვეტილებებს ა(ა)იპ-ს ხელმძღვანელიც. ასეთი პრაქტიკა, ერთის მხრივ, არ იძლევა შესაძლებლობას ვაკანტურ პოზიციაზე თავისუფალი კონკურენციის პირობებში შეარჩიონ უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი. მეორე მხრივ, ეჭვქვეშ დგას საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება უკონკურსოდ, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით დასაქმებულთა კვალიფიკაცია მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს, ქმნის ნეპოტიზმის, პარტიული ნიშნით საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმების რისკებს. ეს საკითხიც უნდა იყოს საკრებულოს განხილვის საგანი და იურიდიულ პირებში არსებულ სხვა პრობლემებთან ერთად, დასაქმების მანკიერი პრაქტიკაც საჭიროებს რეგულირებას.

# თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ფოთის საკრებულოს [რეგლამენტი](#) არ არის დაზუსტებული, თუ რა ითვლება საკრებულოს წევრის მიერ სხდომის გაცდენის არასაპატიო მიზეზად. საკრებულოს რეგლამენტი ეყრდნობა “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” ჩანაწერს, რომლის [თანახმდაც](#) საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ იგი “არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში”.

ფოთის საკრებულომ, წინა წლებისგან განსხვავებით, სახელობით მოგვანოდა ინფორმაცია მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირების გაცდენებზე. იმ წევრთა მონაცემები კი, რომლებიც არ იკავებენ თანამდებობებს, ვინაობის მითითების გარეშე მოგვანოდა.

## **მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში:**

2023 წელს საკრებულოს წევრებმა **81-ჯერ** გააცდინეს საკრებულოს სხდომები, რაც 30-ით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სხდომები არასაპატიო მიზეზით **69-ჯერ** გააცდინეს.

საკრებულოს თანამდებობის პირთა შორის ყველაზე მეტი - **9** სხდომა არასაპატიო მიზეზით გააცდინა ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ყოფილმა თავმჯდომარემ, დარეჯან ცხვიტარიამ და ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ, დათო ხომერიკმა.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ [ცხრილში](#).

## **მონაწილეობა საკრებულოს კომისიების სხდომებში:**

საკრებულოს წევრებმა კომისიების სხდომები გააცდინეს **97-ჯერ**, მათ შორის **91-ჯერ** - არასაპატიო მიზეზით.

საკრებულოს წევრთა შორის კომისიის ყველაზე მეტი (**24**) სხდომა არასაპატიო მიზეზით გააცდინა ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ, პაატა ჩაგანავამ.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ [ცხრილში](#).

## **საკრებულოს სხდომებზე სიტყვით და მოხსენებით გამოსვლის მაჩვენებელი**

საანგარიშო პერიოდში გაუარესდა საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სხდომაზე სიტყვით და მოხსენებით გამოსვლის მაჩვენებელი. 2023 წელს **35** წევრიდან სიტყვით არ გამოსულა **15** წევრი, ხოლო მოხსენებით წარდგომის უფლებით არ უსარგებლია **23** დეპუტატს.

[მდუმარე დეპუტატებისა](#) და [მოხსენებების](#) შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილებში.

## თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ფოთის საკრებულომ მიიღო კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ის რეგულაცია, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას მუნიციპალიტეტის, მათ შორის საკრებულოს საქმიანობაში:

- დამტკიცდა დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება, თუმცა დასახლების საერთო კრება ფოთის მუნიციპალიტეტში ჯერ **არ გამართულა და მოქალაქეებს ჩართულობის ამ მექანიზმით არ უსარგებლიათ.**
- დაინერგა პეტიციის ელექტრონული სისტემა, თუმცა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფოთის საკრებულოში **პეტიცია არ დარეგისტრირებულა**
- მოქალაქეებს შეუძლიათ, ელექტრონულად მიმართონ მუნიციპალიტეტს კონკრეტული ინიციატივით, ასევე ვებ-გვერდის მეშვეობით გამოითხოვონ სასურველი ინფორმაცია;
- სპეციალური წესის მიხედვით, მოქალაქეს აქვს უფლება საკრებულოს სხდომამდე 2 დღით ადრე მიმართოს საკრებულოს და დარეგისტრირდეს საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად, თანამომხსენებლად ან/და გააკეთოს სპეციალური განცხადება, თუმცა ეს წესი მოქალაქეს არ უზღუდავს შესაძლებლობას, რეგისტრაციის გარეშე განახორციელოს იგივე ქმედებები;
- საკრებულოს სხდომები გადაიცემა სოციალური ქსელის მეშვეობით;
- ფოთის საკრებულოს თანამდებობის პირები განუული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წელიწადში ორჯერ წარადგენენ. თვითმმართველობის კოდექსით, ანგარიშის მინიმუმ ერთხელ წარდგენის ვალდებულებაა დაწესებული;
- საკრებულო მერიასთან ერთად მართავს ბიუჯეტის საჯარო განხილვას.

## თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა

ფოთის საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭოს, როგორც წინა პერიოდში, ასევე 2023 წელს:


- სამართლებრივ აქტებზე სამართლებრივი ანალიზი **არ განუხორციელებია**
- არცერთი საკანონმდებლო აქტის პროექტზე **არ განუხორციელებია ექსპერტიზა**

ასევე, ფოთის საკრებულოში გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე **არცერთი განცხადება, დოკუმენტაცია ან სხვა ინფორმაცია არ შესულა.**

# თავი 10. ქადაქ ფოთის საკრებულოს ხარჯები

ფოთის საკრებულოს ხარჯებმა, 2023 წელს **1,792,603 ლარი** შეადგინა, რაც **226,776 ლარით** აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გაიყა **1,502,572 ლარი**.


## შრომის ანაზღაურება - 1,502,564 ლარი



- 787,485** თანამდებობის პირები (25 პირი)
- 399,523** საკრებულოს აპარატის თანამშრომლები (16 პირი)
- 315,564** საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულები (18 პირი)

დეტალური ინფორმაცია ფოთის საკრებულოს თანამდებობის პირებზე 2023 წელს გაცემული სახელფასო ანაზღაურების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ [ცხრილში](#).

## საკრებულოს სხვა ხარჯები (ლარი)



- 116,478** საკრებულოს წევრის საქმიანობის ანაზღაურება
- 15,436** სამივლინებო ხარჯები
- 8,358** სატელეფონო კომუნიკაცი



## ავტომობილები და სანვავის ხარჯები:

ფოთის საკრებულოს ბალანსზე ერთი ავტომობილი ირიცხება, "Kia Seltos", რომელიც 2022 წელს არის გამოშვებული და იგი 2022 წლის ივნისში მუნიციპალიტეტმა **65,000 ლარად** შეიძინა. 2023 წელს ავტომობილების შეკეთებაზე განუღმა ხარჯმა **1,776 ლარი** შეადგინა

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესყიდული სანვავით მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირები სარგებლობენ. ყველაზე დიდი ლიმიტით (თვეში 600 ლიტრი) საკრებულოს თავმჯდომარე სარგებლობს, სხვა თანამდებობის პირების ლიმიტი 70 ლიტრია.

ჯამში, ფოთის საკრებულომ 2023 წელს **30,269** ლიტრი სანვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც **79,786** ლარი შეადგინა. საკრებულოს თავმჯდომარემ, ალექსანდრე ტყეხუჩავამ **4,174** ლიტრი სანვავი გახარჯა, ჯამური ღირებულებით - **11,015** ლარი.

## კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ საზედამხედველო საქმიანობაში და უფრო ქმედითად გააკონტროლონ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები;
- აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობის ზედამხედველობის სფეროში აქტიურად უნდა ჩაერთონ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები;
- საკრებულომ ხელი უნდა შეუწყოს დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნას, რათა გამჭვირვალედ შეისწავლონ ყველა ის საკითხი, რომელთა მიმართაც არსებობს საჯარო ინტერესი;
- საკრებულომ უნდა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება და მოინვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი;
- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე.

## ანგარიშვალდებულება:

- საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს საკრებულოს და საკრებულოს კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრების მაჩვენებლები. მიგვაჩნია, რომ საკრებულოს ყველა წევრი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საკრებულოს სხდომაზე დასწრების საკითხს. საკრებულომ უნდა გამოარკვიოს სხდომის გაცდენის საპატიო თუ არასაპატიო მიზეზი და სათანადო ღონისძიებებიც გამოიყენოს;
- აუცილებელია საკრებულოს წევრებმა აქტიურად ისარგებლონ როგორც საკრებულოს, ასევე კომისიის სხდომაზე სიტყვით გამოსვლის უფლებით, წარადგინონ მოსაზრებები განსახილველ საკითხებზე, მიანოდონ საკრებულოს და მერიას ინფორმაცია მოქალაქეთა კონკრეტული საჭიროებების შესახებ;

## ფრაქციების საქმიანობა:

- მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის საქმიანობა სარგებლის მომტანი იყოს შესაბამისი თვითმმართველობისათვის. ფრაქცია აქტიურად უნდა ჩაერთოს საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების განხილვისა თუ გადაწყვეტის პროცესში, შეისწავლოს/გააკონტროლოს მერიისა თუ მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობა; წარსდგეს საკრებულოში ინიციატივებით, აქტიურად ჩაერთოს ბიუჯეტირების პროცესში და ა.შ. ფრაქციები ზრდის თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას, მხარს უჭერს ადგილობრივ ინიციატივებს, აგრეთვე მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების ადვოკატირებას. შესაბამისად, მოვუწოდებთ ფრაქციებს, აღნიშნული ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ.

## საკრებულოს ხარჯები:

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს ხარჯები სრულ თანხვედრაში იყოს კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელებასთან;
- საკრებულომ მკაცრად უნდა აკონტროლოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და ორიენტირებული იყოს ფინანსური რესურსების სწორ ხარჯვაზე.

## პეტიცია:

- საანგარიშო პერიოდში საკრებულოში არც ერთი პეტიცია არ დარეგისტრირებულა. სასურველია, ფოთის საკრებულომ შეამციროს პეტიციაზე ხელმომწერთა რაოდენობის ქვედა ზღვარი და 1% ნაცვლად დაანესოს 0.5 პროცენტი, რაც გაუადვილებს დაინტერესებულ პირებს პეტიციის მომზადების პროცედურას. კანონმდებლობა თვითმმართველობებს აძლევს შესაძლებლობას, პეტიციის საჭირო ხელმომწერთა რაოდენობა [შეამცირონ](#) მათთვის სასურველ ნებისმიერ ოდენობამდე. თვითმმართველობის კოდექსი აწესებს მხოლოდ ზედა ზღვარს - 1%.

## დასახლების საერთო კრება:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს დასახლების საერთო კრება წარმოადგენს, მისი მოწვევის უფლება აქვთ როგორც ამომრჩევლებს, ასევე მუნიციპალიტეტის მერს საკუთარი ინიციატივით ან საკრებულოს შუამდგომლობით;
- ფოთში დასახლების საერთო კრება ჯერ არ ჩატარებულა. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულომ აამოქმედოს ჩართულობის ეს მექანიზმი. საკრებულომ უნდა მიმართოს მერს მისი ჩატარების შუამდგომლობით. დასახლების საერთო კრება მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის უკეთ დასაგეგმად.